№ 122

პარასკევი, 8 ივნისი, 1901 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1901

# ივერია

№ 122

პარასკევი, 8 ივნისი, 1901 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი

ტელეფონი № 741.

## საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

## დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის საავადმყოფოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

**განყოფილება**

**სასახლის ქუჩაზედ, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—41)

ადრესი ტელეგრამის: Тифлисъ „Фармацевтика“

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“

## გამგეობა

ამით აცხადებს, რომ „საზოგადოების“ წევრთა საგანგებო კრება, მოწოდებული პირველ ივნისისათვის, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, ხელმეორე კრება დაინიშნა 8 ივნისს, საღამოს 8 საათზე, თეატრის შენობაშივე. კრება შესდგება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**გ. ი. შიშინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

**ა. მ. მატიძლოვი**—თვალის 11—12 საათ.

**ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე**—ბავშვებისა 11—12.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. გ. ფედოროვი.** შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

**გ. დ. მარკევიჩი**—საქირურგო—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელოგოლოვი**—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

**კვირაობით:**

**გ. გ. მადლაშვილი**—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ქ. ი. გელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ჰ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

**გ. ა. თარხანოვი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра

**Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

## „ივერიის“ რედაქციისაგან.

ვისაც ჰსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

კავკასიის სამთო გამგეობის უფროსის ნება-რთვით, სოფ. ჭიათურაში შორაპნის მაზრის შავის-ქვის მწარმოებელთა ხარჯით, **არსდება 1901 წ. პირველ ივლისიდგან უფასო**

## კურსები

**სამთო ხელობისა იმათთვის, ვისაც ჰსურს პასუხის მგებლობა იკისროს** სამთო-სამადნო სამუშაოების რიგიანად და უშიშრად წარმოებისა.

კურსებზედ შესვლის მსურველთ წერილობით განცხადება უნდა გამოუგზავნონ კურსების გამგეს ინჟენერის პ. ა. მარკოვსკის სახელობაზედ (სოფ. ჭიათურაში); თან უნდა გამოაყოლონ მოწმობა და სხვა საბუთის ქაღალდები.

კურსებზედ შემსვლელთ უნდა იცოდნენ რუსული ენა და სწორედ წერა და კითხვა რუსულად.

კურსებზედ მიიღებიან 20 წლისაზედ არა უმცირესნი. ამასთან უპირატესობა იმათ მიეცემათ, ვინც სამუშაოებს განაგებს ან შორაპნის შავის ქვის საქმეში მსახურებს.

(3—6.—3)

## ახალი ამბავი

*** დღეს, 8 ივნისს, საღამოს 8 საათზედ სათავად-აზნაურო თეატრის ფოიეში ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრება მოხდე-

## ფელეტონი

### ახალი მეცნიერული გამოკვლევანი ციების (malaria) შესახებ.

ციება თბილი და განსაკუთრებით ცხელ ქვეყნების ავადმყოფობაა. რამდენიც მიუახლოვდებით ეკვატორს, იმდენად უფრო ხშირია ციებით ავადმყოფობა და მასთან უფრო მძიმე და სასტიკი; ცივ ქვეყნებში კი უფრო იშვიათი და სუსტის თვისებისაა. ცხელს ქვეყნებში, მაგალითად, აფრიკაში ისეთი ციებიანი ადგილებია, რომ საკმარისია უცხოელ მოგზაურმა მხოლოდ ერთი ღამე გაათიოს იქ, საშინელი ციება სრულიად შეიპყრობს. ცხელს ქვეყნებში ისეთი ციება იცის, რომ ადამიანი სულ რამდენისამე საათის განმავლობაში გათავდება. იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მძვინვარებს ციება ამ ქვეყნებში, მოვიყვანთ მაგალითად ცხელ ინდოეთს, სადაც ციება ექვსჯერ უფრო მეტ ხალხს ჰკლავს ყოველ-წლივ, ვიდრე ხოლერა. 1897 და 1898 წლებში ისე მძვინვარებდა ციება სპარსეთში, რომ თითქმის გაანადგურა მთელი ქალაქები, ამის მოწმე იყო თვით ამ წერილის დამწერი, რომელიც მთავრობის მიერ იყო გაგზავნილი იქ შესაფერ ღონისძიებათა სახმარად.

ყველას გაუგონია, რა მძიმე ციება იცის ჩვენის ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში, მაგალითებრ, სამეგრელოში, ბათუმისა და სოხუმის ოლქებში; ამ ადგილებში არამც თუ ადამიანი ხდება ციებით ავად,—არამედ ძაღლი და ქათამიც; ამ გარემოებამ ფრიად დიდი დაბრკოლება აღმოუჩინა მთავრობას, ჩვენის ქვეყნის ზოგიერთ ადგილებში რუსები დაესახლებინა. სითბო უმთავრესი გარემოებაა, რომელიც ხელს უწყობს ციებას, მაგრამ ამასთან დაკვირვება გვეუბნება, რომ მარტო სითბო არ არის საკმარისი, საჭიროა შესაფერი ნიადაგიც. იქ, სადაც მიწა მოუვლელია, ნოტიო და ჭაობიანი, იქ ბუდეა ციებისა. საუკეთესო დრო ციებისთვის—ზაფხულია, როდესაც მზეს განსაკუთრებული სიცხოვლე აქვს; ზამთრობით კი ციების მომწამლავი ძალა ჰკარგავს თავისს სიძლიერეს და იმდენად სუსტდება, რომ ადამიანისთვის თითქმის უვნებელია.

ძლიერ ხელს უწყობს ციებას მიწის ხელოვნური წყლით მორწყვა, რადგან ამით ნიადაგი ნოტიოვდება; მის ასაცილებლად საჭიროა, რომ წყალს რიგიანი გასავლელი ჰქონდეს და არ გუბდებოდეს ერთს ადგილას. როდესაც მიწა ძლიერ ნოტიოა და ზევიდგან მზის მხურვალე სხივები ათბობს, მაშინ მიწაში მყოფი ორგანიული ნივთიერებანი იხრწნება და საუკეთესო ნიადაგობას სწევს ციების შხამისთვის. საუკეთესოა ადამიანისათვის მაღლობი ადგილი, სადაც უფრო მეტი სიგრილეა და მიწაც სინოტიეს არის მოკლებული, ხოლო დაბლობი ადგილი კი, თბილი და მცენარეულობით მდიდარი, უფრო საშიშია.

გამუდმებული წვიმები, რასაკვირველია, ხელს უწყობს ციებას, რადგან ძლიერ ანოტიებს ნიადაგს.

ციება ეკუთვნის ავადმყოფობათა ისეთ ჯგუფს, რომელიც მოკლებულია გადამდებობის ძალას, ესე იგი, საღ ადამიანს ციებისაგან ეს სენი არ შეეყრება.

მას შემდეგ, რაც დიდებულმა პასტერმა და იმისმა სკოლამ გამოიკვლია და დაგვიმტკიცა მიკრობების მნიშვნელობა გადამდებ სენთა გამოწვევაში, დიდი ყურადღება მიაქციეს ციებას და დაიწყეს ცდა მისის მიკრობის აღმოჩენისა. მხოლოდ ამ ათის წლის წინად ფრანგმა-მეცნიერმა Lageran-მა თვალ-მადიდის წყალობით შესძლო ციების მიკრობის აღმოჩენა: მან გაარჩია თვალ-მადიდით ციებიან ადამიანის სისხლის წითელ ბირთვებში მიკრობი, რომელიც მართლაც ციების გამომწვეველი ყოფილა. ჩვენ წინა წერილებში არა ერთხელ გვითქვამს, რომ სხვა-და-სხვა ნენის მიკრობი ადამიანის სხეულის სხვა-და-სხვა ნაწილებში იწყებს ხოლმე გამრავლებას და იქიდგან ჰზხამავს სხეულს; ამ გვარი ადგილი ციების მიკრობისთვის თურმე ყოფილა ადამიანის სისხლის წითელი ბირთვები. თვალ-მადიდით რომ ადამიანის (ციებიანის) სისხლის ერთი წვეთი გასინჯოთ, ნახავთ, რომ შიგ წითელ ბირთვებში მიკრობია, რომელიც თავში უფერო და მორგვალო მოძრავ არსებას წარმოადგენს; ჯერ მას ბირთვის მცირე ნაწილი უჭირავს, შემდეგ კი თან და თან იზრდება და იჭერს ბირთვის მეტ ნაწილს; ბოლოს, როდესაც მიკრობი მიაღწევს თავისს სრულ განვითარებას, წითელი ბირთვი სრულიად განადგურებულია და დაშლილია და მიკრობებიც ამ დროს ერთვიან სისხლს.

აი, სწორედ ამ დროსაა, რომ ადამიანის სისხლი იწამლება ამ მიკრობებით და ადამიანს ერთბაშად გააციებს.

ყველა მიკრობები წითელ ბირთვებში ერთ დროს განმავლობაში და ერთის დღისთვის ათავებენ თავისს განვითარებას და ზრდას; ზოგიერთ დღის განმავლობაში დაამთავრებს განვითარებას, ზოგიერთს გვარს კი ამისთვის ორი, სამი და უფრო მეტი დღე სჭირდება; სწორედ ამით აიხსნება, რომ ზოგს ყოველ დღე აციებს, ზოგს კი დღე გამოშვებით ან ორის დღის შემდეგ მესამეზედ და სხვა.

ამ უკანასკნელ დრომდე იმ აზრისა იყვნენ, რომ ციების მიკრობით ადამიანი ან წყლის და ან ჰაერის საშუალებით მოიწამლებაო. თვით მედიცინის მამამ ჰიპოკრატმა სთქვა, რომ ის, ვინც დაგუბებულსა და მღვრიე წყალსა ჰსვამს, ციებით ავად—გახდებაო. მაგრამ 1899 წ. ინგლისელმა მაიორმა როსსმა ისეთი გამოკვლევა მოახდინა, რომ სრულიად გაანცვიფრა მთელი განათლებული ქვეყანა და მასთან შესცვალ-

ბა. ეს კრება მეორედაა დანიშნული და რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, მაინც შესდგება.

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანს ბ-ნ ვესოლოვზოროვს გამგეობისათვის განცხადება წარუდგენია, რომელშიაც ბ-ნი ვესოლოვზოროვი სწერს, რომ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის მეუღლეს აწ განსვენებულ დიდს მთავრინას ოლგა თეოდორეს ასულს დიდი სამსახური მიუძღვის კავკასიაში დედათა განათლების გავრცელების საქმეში; ტფილისში იმის სახელობაზედ არსებობს ორი დედათა გიმნაზია და ოლგას საბებიო ინსტიტუტი. ამ ჟამად მისი უმაღლესობის გარდაცვალებიდგან 10 წელი შესრულდა და მის სახსოვრად საჭიროა ძეგლი იქმნას აგებული გოლოვინის პროსპექტზედ დედათა 1-ლ გიმნაზიის შესავალთან. ამისათვის საჭიროა გადადებულ იქმნას ამ საქმისათვის 500 მან. და გაიმართოს შემოწირულობათა მოკრებაო. განუხილავს-რა ეს განცხადება ქალაქის გამგეობას, დაუდგენია: აგებულ იქმნას ზემო აღნიშნულ ადგილზედ ოლგა თეოდორეს ასულის სახსოვრად ძეგლი; გადასდოს ამ საქმისათვის 2000 მან., შუამდგომლობა აღძრას შემოწირულებათა მოკრების შესახებ, და გადასდოს ყოველ წლიურად 840 მან. დედათა უმაღლეს სამკურნალო კურსებში დიდის მთავრინის სახელობაზედ 2 სტიპენდიის დასაარსებლად.

*** 12 ივნისს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება მოხდება საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად. ამავე კრებაზედ უნდა აარჩიონ აგრეთვე სასტატისტიკო ბიუროს წევრები.

*** ტფილისის სავაჭრო სამანუფაქტურო კომიტეტს გადაუწყვეტია განსაკუთრებული კრება მოახდინოს ადგილობრივ ქარხნებისა და სამრეწველო დაწესებულებათა მუშების სამუშაო დღის მოსაწესრიგებლად. ამ კრებაზედ მოწვეულნი იქნებიან: ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოთა უფროსი, რკინის გზათა უსახელო საზოგადოების დირექტორი და იმ ქარხნების პატრონნი, სადაც არა ნაკლებ 100 კაცისა მუშაობს.

*** წელს ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების მოგებიდგან გადადებულ იქმნა 3,784 მან. 78 კაპ. ამიერ-კავკასიის სასწავლებელთა სასარგებლოდ. ეს ფული კავკასიის მთავარმართებელს ასე გაუნაწილებია: ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელს—2,134 მან. 78 კაპ., თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელს—500 მან., განჯისას—500 მან., თემირ-ხან-შურის დედათა გიმნაზიას—450 მან. და ქუთაისის დედათა უფასო სკოლას—200 მან.

*** ტფილისის დედათა გიმნაზიებში იმათი ეგზამენები, ვინც წელს სწავლას ამთავრებს, 14 ივნისს დასრულდება.

*** გუშინ მიღებულ გაზ. „С.-Пет. Вѣд.“-ის მე-148 №-ში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი ამ სათაურით: „საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულების გამო“.

*** როგორც მკითხველებმა უწყიან, საქართველოს ეპარქიის სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მეთვალყურემ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის წინაშე კუკიის სამრევლო-საეკკლესიო სკოლებისათვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ. ამ სკოლებში სწავლოს რკინის გზის მოსამსახურეთა 150 ბავშვი. რკინის გზის გამგეობის საბჭომ გადასდო ამ სკოლების სასარგებლოდ 600 მან., ხოლო მომავალ წლიდგან გადადებული იქმნება თითო ბავშვის სწავლის ფასად ამ სკოლებში ოთხოთხი მან.

*** ხუთშაბათს, 7 ივნისს, ტფილისის ქალაქის გამგეობას სხდომა ჰქონდა, რომელზედაც განიხილა ქალაქის სამმართველოში საზაფხულოდ მეცადინეობის დროს შეცვლის შესახებ საკითხი. გამგეობის დადგენილებით ქალაქის სამართველოში 8 ივნისიდგან მუშაობა დაიწყება დილის 9 საათიდგან და გათავდება ნაშუადღევის 2 საათზედ.

*** დარუბანდის ქალაქის პოლიცმეისტერი შეეკითხა კავკასიის გამოფენის კომისარს—შეგვატყობინეთ თუ რა წესით უნდა გამოიგზავნოს გამოფენისათვის მოკრებილი ექსპონატებიო.

*** კვირას, 10 ივნისს, საღამოს 8 საათზედ კავკასიის სამეურნეო სასოფლო საზოგადოების სადგომში სხდომა ექმნება იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს წელს გამოფენაზედ ხალხის გასართობების მოსაწყობად წესის შემუშავების საქმე.

*** როგორც გაზ. „Застава“-ს ბელგრადიდგან დეპეშით ატყობინებენ, სერბიის მეფე ალექსანდრე და მისი მეუღლე დედოფალი დრაგა ამ მოკლე ხანში პეტერბურგში მიდიან თურმე. ამ დროს პეტერბურგს ესტუმრებიან ჩერნოგორიის მთავარი ნიკოლოოზი და ბოლგარიისა ფერდინანდი. პეტერბურგიდან დედოფალი დრაგა კავკასიის სამკურნალო წყლებზედ გამოემგზავრება, სადაც რამდენსამე კვირას დაჰყოფს.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებულს შუამდგომლობა აღუძრავს ერევანში სარდარის ბაღთან საბაღო მუშათა სკოლის დაარსების შესახებ. ასეთივე სკოლა ამ ჟამად ტფილისის საბოტანიკო ბაღთან არსებობს. ერევნის ქალაქის თვით-მმართველობას ახალი შუამდგომლობა აღუძრავს სარდარის ბაღთან მევენახეობისა და მეღვინეობის სკოლის დაარსების შესახებ, ამ სკოლის დასაარსებლად ერევნის ქალაქის გამგეობისაგან გადადებული იქმნება ერთ ხანად 10,000 მან., ხოლო ყოველ წლიურად სკოლის შესანახად—3000 მან.

*** სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს საჭიროდ უცვნია ქალაქის სასწავლებლებში გიმნასტიკის სწავლის შემოღება და დაუვალებია ამ საგნის შემუშავება სასწავლებელთა მკურნალ ქალანთარისა და სუნდუკიანცისათვის, რომელთაც უნდა წარუდგინონ თავისი მოხსენება ენკენისთვეში.

*** როგორც ქ. განჯიდგან გვატყობინებენ, ადგილობრივ გიმნაზიაში წრეულს დაუმთავრებია სწავლა თერთმეტს ყმაწვილს; მათ შორის ერთს ქართველს: ალექსანდრე ქორქიას.

*** მომავალ კვირას, კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარია და სამხედრო-სახალხო გამგეობა საზაფხულოდ კოჯორში იქმნება გადატანილი.

*** წელს ს. თიონეთში დაარსებულ იქმნა დროებითი სურსათის საწყობი იქ დაბანაკებულ ჯარისათვის.

*** როგორც გაზ. „არგონ.“-ს პეტერბურგიდგან ატყობინებენ, მიწად-მოქმედების სამინისტროს დაუმტკიცებია პროექტი ტფილისის საბოტანიკო ბაღის გადაკეთებისა. ამ პროექტით ბაღთან დაარსებულ იქმნება მუზეუმი, წიგნთ-საცავი და სპეციალური ორანჟერეები.

*** „ცნ. ფურ.“-ი სწერს: „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას შარშან კახეთის ვენახის საწამლებელ კვიპაროსისა და გოგირდის გასასყიდად შემდეგს ადგილებში ჰქონდა სააგენტოები: ქ. თელავსა, სიღნაღსა, სოფ. წინანდალსა, ველის-ციხესა, კაკაბეთსა, კარდანახსა და ყვარელში; წელს საზოგადოებას ასეთი სააგენტო მხოლოდ ქ. თელავში-ღა ჰქონია და, რაღა თქმა უნდა, ვენახის წამლობის ყველა მსურველი ვერ შესძლებს სამკურნალო წამლის შეძენას. ამიტომაც ალოო აიღეს ადგილობრივმა ჩარჩებმა, რომელნიც თავისებურ ულმერთო ფასებს ართმევენ ხალხს; რასაკვირველია, საქმის ამნაირად დაყენება დიდად შეაფერხებს მეურნეთ, რაცგანაც, რაკი დაინახავენ, რომ მამასისხლად იყიდება წამალი, ძალაუნებურად ხელს აიღებენ წამლობაზე. სასურველია, სამეურნეო საზოგადოებამ მომავალ წლებში მაინც იქონიოს საჭირო ადგილებზე საავენტოები, რათა ხალხს ადვილად და ხელმისაწვდენად შეეძლოს ბაღ-ვენახების წამლობა“.

*** ტფილისის სახაზინო პალატის გამგე ა. ბ. მიხაილოვი დანიშნულ იქმნა ფინანსთა სამინისტროსაგან ტფილისის საკომერციო სასწავლებლის საბჭოს წევრად.

*** 19 ივნისისათვის ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად საქმე ავჭალის ცხენის რკინის გზის კონცესიონერთა, რომელნიც უსახელო საზოგადოებას 200,000 მანეთს უჩივიან.

*** ტფილისის საგუბერნიო მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს 1000 მანეთის გადადების შესახებ რამდენისამე კერძო ქსენონისათვის საავთიაქო და სხვა საჭირო მასალის შესაძენად.

*** როგორც ავჭალის სადგურიდგან გვატყობინებენ, 5 ივნისს სადგურში მოუყვანიათ, საქონლის მატარებლიდგან გადმოვარდნილი გლეხი არშაკ გოგიევი, რომლისათვის მატარებელს მოუტეხია მარცხენა ხელი და დაუშავებია თავი და ფეხი. დაშავებული გაგზავნილ იქნა... რკინის გზის საავადმყოფოში.

*** 6 ივნისს, დალ-მამეტლის სადგურის მახლობლად ძლიერმა ქარმა შეაჩერა მატარებლის № 205-ის 17 ვაგონი, უკან წაიღო, აბრუნა საათში 40 ვერსის სისწრაფით და კიურუკ-ჩაიდგან მომავალს მატარებელს № 207 შეახეთქა. დაშავდა 11 ქვაბი და ორთქლ-მავალი № 207 და 8 ვაგონი ... ანდაგს გადასცდა.

*** 6 ივნისს, ხაშურის სადგურში, მომავალ მატარებლის ერთის ვაგონიდგან კარი გაიღო და შიგ მყოფი ცხენი გადახტა ძირს. ცხენს უკანა ფეხი დაუშავდა, ხოლო მასთან მყოფს ჯარის-კაცს ფ. არხიპოვს თავი მსუბუქად დაუშავდა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. სტეფანწმინდა** (ხევი). მას შემდეგ, რაც პეტროვსკ-დარუბანდის რკინის გზა ბაქოს რკინის გზას შეუერთდა, საქართველოს სამხედრო გზაზედ მგზავრობა თითქმის სრულიად მოისპო. ზამთრობით კვირაში თითო ოროლა ეტლი კიდევ გამოჩნდება ხოლმე, მაგრამ ზამთრობით-კი უხოდ მგზავრს კაცი ვეღარა ჰნახავს.

რაკი გზას მგზავრი ასე მოაკლდა, გზის მმართველობაც ზვავებისა და თოვლისაგან გზის გაწმენდისათვის დიდად თავს აღარ იწუხებს. წინად თუ ... ვერშოკის სიმაღლე თოვლი რომ ... ვიდოდა, ყველა სამუშაოთ მიდიოდა, ვისაც-კი ხიზნის ხმარება შეეძლო (დღიურად 60 კაპ. ეძლეოდა მუშას), ... ერთი არშინი თოვლისათვისაც აღარ ჰსაჭიროებენ მუშას. თოვლი იქამდის სძევს გზაზედ, ვიდრე ორი-სამი მიდ... მივი მუშა (რომელსაც თვიურს ეძახიან) თავისს ხვედრს 5—6 ვერსს გზას არ გასწმენდავს. ეს ზამთრობით, მაშ ... ზაფხულობითაც აღარა ჰსაჭიროებენ ... შას, რადგანაც გზის შეკეთებას და ... წმენდას წინანდებურად აღარა სცდილობენ. რაღა თქმა უნდა, ამით მოის ... ხალხს დიდი ზარალი მიეცა და სამ... ეროდ-კი სხვა შემოსავალი არსაიდან უჩანს. ამას დაუმატეთ ახლა ქირის მოსპობაც, რომელიც ერთად-ერთი მუდმივი საქმე და ხელობა იყო მთხევეთათვის, და დარწმუნდებით, ბ-ნებო, რომ მოხევეთა დღევანდელი გაჭირვება მართლაც დიდია. ქირის მოსპობამ მეტად დიდი ზარალი მისცა ხალხს, რადგანაც ქირისათვის ყველა ინახავდა თითო-ორო ცხენს, რომლებითაც საქირაო საქონელსაც ჰზიდავდა და შინაურს საქმეებსაც აკეთებდა. ეხლა-კი მარტო შინაური საქმეებისათვის ცხენების და ურმის შენახვა საზარალოა, რადგანაც აქაურს გრძელ ზამთარში თივა-ქერით ცხენის გამოკვებას დიდი ხარჯი სჭირდება; ამის გამო, ურმები და ცხენები მაშინვე ... ლამ მიიიდ-მოჰყიდეს, თვით ისეთმა ... ცებმაც-კი, რომლებიც მხოლოდ ქირის ზიდვით ინახავდნენ ჯალაბობასა, და ... მქონენი მამულისა და არა მცოდნე რომელისამე ხელობისა არიან დღეს ანაბარად, უნუგეშოდ, შიმშილის ... მათ დატოვებულნი.

ხალხის ყველა ამ სივიწროვეს ... ულს ზედ დაერთო ახლა სოფლის მოხელეების ჯამაგირით დანიშვნა, რასაც ხალხმა ბევრი იუარა,—სოფლის მოხელეებისათვის ჯამაგირის ძლევას ვერ შევიძლებთო, მაგრამ მაზრის უფროსი და ბოქაული აიმედებდნენ, რომ ჯამაგირიანი მოხელეები უფრო სასარგებლონი იქნებოდნენ, უკეთესად და პატიოსნურად იმსახურებდნენ და უჯამაგირო...

---

ჩვენი აზრი ციების შესახებ: ამ მეცნიერმა აღმოაჩინა, რომ ციებით ავადმყოფობა თურმე კოღოების წყალობით ვრცელდება, და წყალი და ჰაერი კი არაფერს შუაშია. თვით გამოჩენილმა კოხმაც გამოიკვლია და სრულიად დაეთანხმა როსს.

როდესაც კოღო ჰკბენს ციებიან ავადმყოფს, იგი სისხლთან ერთად სწუწნის ამ სენის მიკრობებს, შემდეგ თუ ამ კოღომ საღ ადამიანს უკბინა, უსათუოდ მოსწამლავს და შეჰყრის ციებას. ყოველ გვარ კოღოს როდი შეუძლიან ციების გავრცელება, ავრცელებს მხოლოდ ერთგვარი კოღო, რომელსაც მეცნიერებმა ლათინურად „ანოფელესი“ დაარქვეს სახელად. ეს კოღო ჰკბენს მზის ჩასვლის შემდეგ და აი, ამიტომ ის, ვინც მის კბენას გადაურჩება, ციებისგანაც უვნებელია. იტალიაში, სადაც ყოველ ზაფხულს საშინელი ციება მძვინვარებს, მდაბიო ხალხმა თურმე დიდი ხანია იცის, რომ ადამიანი შეიძლება ავად გახდეს ციებით კოღოს კბენის შემდეგ, ამიტომ დადგება თუ არა საღამო ჟამი, ყოველ ღონის ძიებას ხმარობენ, რომ როგორმე კოღოს არ აკბენინონ; ზოგიერთნი პირ-ბადე-საც ატარებენ.

გამოჩენილნი მოგზაურნი აფრიკაში გორდონი, ემინ-ფაშა და ლივინგსტონი ამავე აზრისანი იყვნენ.

ამავე საგნის გამოსაკვლევად შარშან იტალიაში წავიდა ორი ინგლისელი—რამბონ და ლოუ, იმ ადგილებში, სადაც დიდი ციება იცის, და თითქმის ყოველ ახალ მოსულს უსათუოდ გააციებს; მისვლისთანავე ამათ არავითარი ჩვეულებრივი მოსარიდებელი საშუალება არ უხმარიათ, გარდა იმისა, რომ ყოველ ღონისძიებას ჰხმარობდნენ, რომ კოღოს არ ეკბინა. ამ ჭაობიან ადგილებში მათ მთელი ზაფხული გაატარეს ისე, რომ ერთხელაც არ გამხდარან ავად ციებით.

ინგლისში შემდეგი ცდა მოახდინეს: იტალიიდგან ინგლისში წაიღეს კოღოები, რომლებსაც დააკბენინეს რომის საავადმყოფოში ციებიანი ავადმყოფები; ლონდონში ეს კოღოები გაუშვეს ერთ საგანგებო მომზადებულ ოთახში; ყველა ის პირნი, რომლებმაც თავი გაიმეტეს მეცნიერებისათვის და აკბენინეს ამ კოღოებს, ციებით გახდნენ ავათ.

აღმოჩნდა, რომ კოღოები სდებენ კვერცხებს ჭაობიან ადგილებში, უფრო ხშირად დაგუბებულ წყლებში, ესეთი ადგილები ჰყვარებიათ კოღოებს. ამათ მოსასპობლად უბრალო საშუალება ყოფილა საჭირო: საკმარისია დაგუბებულ წყალს ნავთი დაასხათ, რომ კოღოები სრულიად გაწყდნენ. ეს საშუალება ერთმა ამერიკელმა მოიგონა და მართალი აღმოჩნდა. ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდს სარგებლობას მოუტანს ეს საშუალება კაცობრიობას.

არ არის მთელს სამკურნალო მეცნიერებაში ისეთი გამოცდილი და ძლიერი წამალი, როგორც ქინაა ციების წინააღმდეგ: ეს წამალი, შედის თუ არა სისხლში, ჰკლავს ციების მიკრობებს, ხოლო სხეულის უჯრებს-კი არავითარს ვნებას არ აძლევს.

ქინა ადამიანმა გაციების ერთი-ორის საათის წინად უნდა მიიღოს, რომ, როდესაც მიკრობები წითელ ბირთვებში დაამთავრებენ განვითარებას და სისხლს შეუერთდებიან, იქ ქინა დახვდეს.

ექიმე ბადრიძე

მოხელეების ძარცვა-გლეჯას მორჩებოდნენ მთავრობამ თავისი აასრულა, სამი სამმასახლისო (700 კომლი) შეაერთეს და მოხელეებს: მამასახლისს, მწერალს, სამს ჩაფარსა და მსახურს წლიურად ხალხის მხრივ 1400 მან. დაუნიშნეს, მაგრამ შეღავათი ჯერ არა სჩანს-რა. თუ თქვენცა ჰბრძანებთ, მკითხველო, ეს ფული არც გადამხდელთათვის და არც მიმღებთათვის ცოტა არ არის და, ვგონებ, ეხლა-კი მოვალენი არიან სოფლის მოხელენი წესიერად და პირნათლად ემსახურნენ, მაგრამ დალახვრა ეშმაკმა, რომ სანუგეშოს კიდევ ვერასა ვხედავთ: მამასახლისი გ. ლუდუშაური ისევ მუდამ თავისს სახლში იმყოფება სოფ. სნოში, რომელიც 5 ვერსის სიშორეზეა სამმართველოდგან და სამმართველოში კი, სოფ. სტეფანწმინდაში, მხოლოდ კვირა დღეობით ვინახულებთ ხოლმე; თუმცა კანონით მოვალეა სამმართველოზედ დაშორებული არ იყოს. რაკი ასრეა, ეჭვი არ არის, მამასახლისის მაგიერად ყველა საქმე მწერალმა უნდა აწარმოვოს, მაგრამ ეს ურჩი მწერალიც ზოგჯერ მეტად სასტიკად გვეპყრობა ხოლმე: გამოიხურავს კანცელარიის კარებსა და მთელი დღე-ღამე აღარსადა სჩანს! დიდის ჯოგობრი ხალხი აქეთ-იქით და მწერალ-მამასახლისს დაღონებულნი დაეძებენ. ვგონებ, ასეთი გულცივობა მოხელეებს აღარა ჰმართებთ და მოვალენი არიან ხალხის სიკეთისა და კეთილდღეობისათვის იზრუნონ რამე, თორემ წინანდელი და ეხლანდელი მოხელენი მაშინ რითი გავარჩიოთ ერთმანერთისაგან?

გაზაფხულის მუდმივმა წვიმებმა და დიდმა სიგრილემ მცხოვრებნი ძლიერ შეაწუხა. უბალახობითა და სიგრილით მთაში წვრილ-ფეხი საქონელი ვეღარ გაურჩევიათ.

ს. შადური

## წერილი ჯავახეთიდგან

ჯავახეთი, ანუ ახალქალაქის მაზრა ორი საბოქაულოსაგან შესდგება: ბარალეთისა და ბოგდანოვკისა. ბარალეთის საბოქაულოში ითვლება ხუთი სოფლის საზოგადოება, რომლებშიაც 63 სოფელია, ბოგდანოვკისა-კი 6 სოფლის საზოგადოებისაგან შესდგება, 45 სოფლით. მთლად მაზრაში 108 სოფელია. ამათგან 12 სოფელი დასახლებულია ქართველებით (ზოგან მაჰმადიანები და სომხებიც ურევია), 8 დუხობორებით, 25—მაჰმადიანებითა და 63 სომხებით. მთელს მაზრაში ამ ჟამად 4,351 კომლი მცხოვრები ირიცხება, რომელშიაც 39,141 სულია ორისავე სქესისა; ამათგან მამრობითის სქესისა 20,448 და მდედრობითისა —18,693. ქართველები და სომხები უმთავრესად ხვნა-თესვას მისდევენ და მცირედათ ცხვარ-ძროხის მოშენებასა, ხოლო დუხობორები და მაჰმადიანები-კი უმთავრესად ცხვარ-ძროხის მოშენებასა (ამას ხელს უწყობს მრავალი სათიბი-საძოვარი ადგილები) და მცირედათ ხვნა-თესვას. მებაღ-მებოსტნეობას-კი მარტო მაზრის დასავლეთი მხარე მისდევს, სულ 12 სოფელი; მევენახეობას-კი მარტო ორი სოფელი: სარო და ხიზაბავრა. აქ, საზოგადოდ, ყურძენს ძრიელ ადრე ჰკრეფენ, რის გამოც ძრიელ მჟავე ღვინო იცის და არც ხელი იციან ღვინის დაყენებისა; მიუხედავად ამისა, ღვინო მაინც კარგს ფასში გადის ჯავახეთში (ხშირად ბათმანი, ე. ი. 2 თუნგი, 1 მან. 50 კ. ღირდება), რადგანაც ჯავახეთს ღვინო არა აქვს. მისდევენ აგრეთვე ხალიჩებისა, ხურჯინებისა, ჯეჯიმებისა, ტომრებისა და სახოხე შალების ქსოვასა.

სწავლა-განათლებით ეს მაზრა, ცოტა არ იყოს, დაქვეითებულია, მიუხედავად იმისა, რომ ამ პატარა მაზრაში, გორის მაზრასთან შედარებით, სკოლათა რიცხვი უფრო მრავალია. მაზრაში არსებობს 15 სამინისტრო სკოლა და ორიც სამრევლო. მაშასადამე, ერთს სკოლაზედ 1712 სული მცხოვრები მოდის, რომელშიაც, სულ ცოტა 300—400 სული მაინც იქნება სასკოლო ჰასაკის და ამ რიცხვიდგან-კი ძნელად თუ რომელსამე სკოლას 40—50 მეტი მოსწავლე ჰყავს. რა არის, მაშ, ამისი მიზეზი? მოგახსენებთ: უმთავრესი მიზეზი გახლავთ მცხოვრებთა სიღარიბე, ამ ბოლოს წლების მოუსავლობა, უდიერი მიწის-ძვრა და სხვ., რის გამოც ხალხი სკოლისათვის ვერ იცლის, მიდის შორს სადმე სამუშაოდ ლუკმის საშოვრადა და მთელი სახლის მუშაობა და საქონლის მოვლა ქალებსა და ბავშვებს აწვებათ კისერზედ. გარდა ამისა, აქაურს სკოლებში სწავლა მარტო გიორგობისთვის ნახევრიდგან მარტამდის სწარმოებს, ე. ი. თოვლის მოსვლიდგან თოვლის ადებამდის, ანუ, უკეთ რომა ვთქვათ, მინდორში მუშაობის გათავებიდგან მათ დაწყებამდის. მაშ, სწავლისა სულ $4^1/_2$ თვე-და მოდის. აქედგან $1^1/_2$ თვე უქმეები რომ გამოვიღეთ, დარჩება ბავშვს სკოლაში სასიარულოთ მხოლოდ 3 თვე. იანგარიშეთ ახლა მოულოდნელი რამ შემთხვევები, ავადმყოფობა ან სხვა რამ საოჯახო საქმე მოწაფისა თუ მასწავლებლისა და დამეთანხმებით, რომ სწავლისათვის ბავშვს სულ აღარა რჩება-რა და სამაგიეროდ დანარჩენი 8—9 თვე-კი დიდი დროა, რომ ბავშვს ამ ცოტა ხანში ნასწავლი სრულიად დაავიწყდეს. ამას მიუმატეთ ახლა ის გარემოებაც, რომ ამ ცირე ხნის განმავლობაში ხშირად ბავშვი ვერ ასწრობს შეისწავლოს ანბანი, მოდის სკოლაში მეორე წელიწადს მასწავლებელი იმას ახალ-მოსულებთანა ჰსვამს და ისევ თავიდგან აწყობინებს მარშანდელს გავლილს, მაგრამ ხშირად მოხდება, რომ ამ წელსაც ვერ შეითვისებს, რაც საჭიროა, და ამასობაში ბავშვი სულით ეცემა, გული უტყდება და თავისის თავის ნდობასა ჰკარგავს, სკოლაზედა და სწავლაზედ გული უცრუვდება, იგინი რადაც მიუდგომელ საგნებათ მიაჩნია და იმ დასკვნამდის მიდის, რომ „სწავლაზედ ძნელი ხელობა ქვეყანაზედ არა იქნება-რაო“. (ეს ფრაზა ხშირად მსმენია, როგორც ბავშვებისა, აგრეთვე იმათ მშობლებისაგან). ბავშვი სკოლას თავს ანებებს და ამასობაში სკოლას ყოველ წლივ მრავალი შეგირდი ეცლება ხელიდგან. ამაში ეჭვი არ არის დიდი ბრალი სდევთ როგორც მასწავლებლებს, აგრეთვე სახალხო სკოლის ინსპექტორ-დირექტორს (სამრევლო სკოლებზედ არა მაქვს ლაპარაკი), რადგანაც ამათ შეუძლიანთ რაიმე წამალი დასდონ ამ მოვლენასა, მაგრამ არასა ჰზრუნავენ. რა ქნას მასწავლებელმა, რომელსაც იგი ერთის წლის მეტს არა რჩება ერთს ადგილასა და ამ ხნის განმავლობაში-კი ხალხსაც ძლივს იცნობს, არამც თუ სარგებლობა რამ მოუტანოს. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ერთის წლის განმავლობაში აქ მასწავლებელი ორს ანუ სამს ადგილს იცვლის, ამიტომაც სოფელი მას უგულოთ ეგებება და ბევრჯელ უკანასკნელ „ათის-თავზედაც“-კი დაბლა აყენებს და იმისი უფრო ხათრი და შიში აქვს, რადგანაც იცის, რომ „ათისთავი“ ერთს ადგილას დიდხანს მსახურობს, ამას „უმიზეზოთ“ ერთი ადგილიდგან მეორეზედ არავინ გადაიყვანს და მასწავლებელს-კი დააყენებენ, თუ არა, არავინ იცის. აი თვითონ მე, თქვენმა უმორჩილესმა მონამ, 4 წელი ვიმსახურე ახალქალაქის მაზრაში, სამინისტრო სკოლაში და ამ ხნის განმავლობაში 4 ადგილი გამომაცვლევინეს და ეხლაც ვერ მივხვედრივარ, თუ რა იყო ამისი მიზეზი. 4 წლის განმავლობაში ჩემს სკოლაში ბ-ნი ინსპექტორი სრულებით არ მინახავს, რომ იმას, ჩემსა და ჩემის შრომის შესახებ რაიმე ცნობები ჰქონოდა; გზაში რომ შემხვედროდა, ვერც-კი ვიცნობდი, რომ უფროსის შესაფერი სალამი მაინც მიმეცა.

აქავე უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ ბევრი მასწავლებელი ამ მაზრისა სრულებით მოუმზადებელია ამ რთულის ასპარეზისათვის. 19 სოფლის მასწავლებლიდგან მხოლოდ სამსა აქვს მიღებული სწავლა სამასწავლებლო სემინარიაში, დანარჩენთ 16-კი ან სამოქალაქო სკოლასა და ან ორ-კლასიან სასწავლებელში არიან ნამყოფნი; ზოგს-კი, ასე გასინჯეთ, მასწავლებლობის მოწმობაც-კი არა აქვს. და აი, ამისთანა მასწავლებელი ასწავლის იმას, რაცა ჰსურს და ისრე, როგორცა ჰსურს, მაგრამ მაინც მასწავლებლობს, რადგანაც მოწონებითა და დაწუნებით თავს არავინ აბეზრებს.

მაზრაში ამ ჟამად ყველაზედ დაწინაურებულია სოფ. ბარალეთი. ამ სოფელში არსებობს ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი, დედათა განყოფილებით, სასოფლო ქსენონი და უფასო სამკითხველო წიგნთ-საცავი (?). სასწავლებელი თავის დანიშნულებას პირნათლად ასრულებს, ჰყავს მრავალი მოსწავლე და საქმე კარგად მიდის, მეტადრე მას შემდგომ, რაც ზედამხედველათ დაინიშნა გამოცდილი და შრომის მოყვარე მასწავლებელი ბ-ნი ალექსი მიქელაძე.

ქსენონის საქმეც სასურველს ნიადაგზედ დააყენა ახალგაზრდა მკურნალმა იგ. გომართელმა: წინანდელის მკურნალის მუხარინსკის ქცევით დამფრთხალი ხალხი (ამაზედ 1897 წელს „ტფილისის ფურცელში“ იყო ლაპარაკი) ისევ შეიჩვია და როგორც ქსენონს, ისე მის მეთვალყურეთ ეხლა მეგობრულად უყურებენ. ერთი სიტყვით, ბ-ნმა გომართელმა ხალხს ნამდვილის, უქრთამოდ და პირუთვნელის სამსახურის ნიმუში აჩვენა. ახლა, როგორც შევიტყე, იგი საზღვარ-გარეთ თურმე აპირობს წასვლას და ცოდნის გაფართოებას. ვუსურვებთ ბ-ნს გომართელს გამარჯვებასა, ხოლო ბარალეთის ქსენონს წარმატებასა და გომართელის ღირსს მოადგილეს.

რაც შეეხება სამკითხველოს, გულდაწყვეტით მოგახსენებთ, რომ იგი-კი ნახევარ არსებობაშიაც აღარ არის, რადგანაც ამ სამის წლის უყურადღებობამ ისრე დაასუსტა საწყალი, რომ ძნელად თუ ვინმე-და შესძლებს მისს გამობრუნებასა.

(დასასრული იქნება)

## რუსეთი

30 მაისს უკანასკნელი კრება ჰქონია მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭოს უმაღლეს სკოლის რეფორმის საქმეთა შესახებ მოსალაპარაკებლად. სულ განსახილველი ჰქონია საბჭოს 18 საკითხი, განუხილავს ყველა კითხვები, მაგრამ გადაწყვეტით მხოლოდ რამდენიმე გადაუწყვეტია. დანარჩენ კითხვებს აგვისტოში გადასწყვეტენ. პრინციპიალურად საბჭოს რეფორმის გეგმა უკვე შეუმუშავებია. აი ის მთავარი საფუძველნი, რომელნიც საბჭოს საჭიროდ უცვნია მოსკოვის უნივერსიტეტისათვის: 1, როგორც დეკანი და რექტორი, ისე პროფესორები არჩეულ და არა დანიშნულ უნდა იქმნენ; 2, გაუქმებულ უნდა იქმნას „საგონორარო სისტემა“ პროფესორების დაჯილდოვებისა და იმის ნაცვლად გადაწყვეტილი ჯამაგირი დაწესდეს; 3, გაუქმებულ იქმნას სახელმწიფო ეგზამენები; 4, დაწესებულ იქმნას როგორც საუნივერსიტეტო, აგრეთვე სასტუდენტო, საამხანაგო სასამართლო; 5, უნდა გაფართოვდეს და გაძლიერდეს პრივატ-დოცენტურა.

— ამ ცოტა ხანში რკინის გზათა სატეხნიკო კრება მოხდება. ამ კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს სახალხო მატარებლებში ვაგონების გამართვის საქმე.

— პირველ ივნისს პეტერბურგის უნივერსიტეტის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტთა ეგზამენები დამთავრებულა სახელმწიფო კომისიაში. სულ ეგზამენის დაჭერის სურვილი განუცხადებია 66 მათემატიკოსს და 54 ბუნების-მეტყველს, მათემატიკოსთაგან პირველის ხარისხის დიპლომი მიუღია 44 სტუდენტს, მეორე ხარისხისა — ოთხს; ხუთს ეგზამენები ვერ გაუთავებია, სამი კიდევ არ გამოცხადებულა ეგზამენებზედ. ბუნების მეტყველთაგან პირველი ხარისხის დიპლომი მიუღია 40 კაცს, მეორისა—14, რვა კაცს ეგზამენები არ დაუჭერია.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, მხნედ მუშაობს თურმე ის კომისია, რომელსაც საშუალო სკოლის რეფორმის საქმე აქვს ჩაბარებული; კომისიის ყოველ სხდომაში მონაწილეობას იღებს თურმე თვით საერო განათლების მინისტრი გენ.-ადიუტ. ვანოვსკი. როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, კომისიას აზრადა ჰქონდა საშუალო სკოლა ორ განყოფილებად გაენაწილებინა: ერთში უნდა ესწავლებინათ ლათინური ენა მეორეში რუსეთის გაცნობა-შესწავლა და კანონმდებლობა. ეხლა კომისია ჰფიქრობს თურმე მეორე რეალურ განყოფილებაში ლათინურ ენის ნაცვლად მეორე ახალი ენა, შემოიღოს. რუსეთის შესწავლა შეიცავს რუსეთის სტატისტიკურ, ეკონომიურ და ეტნოგრაფიულ ცნობების გაცნობას, ხოლო კანონმდებლობა— სახელმწიფოს წესწყობილების, მოსამართლეობის და სხვ. გაცნობას. ზოგიერ წევრებს საჭიროთ უცვნიათ პირველი საგანი გეოგრაფიასთან ერთად შეასწავლონ, ხოლო მეორე ისტორიასთან ერთად.

## უცხოეთი

**ჩინეთი.** როგორც ლონდონიდგან აცნობებენ „Berlin. Tagbl.“-ს, ოფიციალურს წრეებში დარწმუნებულნი თურმე არიან, სანამდის გერმანია თავისს ჯარებს არ გაიყვანს შანხაიდგან, იმ დრომდის არც ინგლისი და საფრანგეთი გაიყვანენ. ფიქრობენ, რომ რუსეთიც ხანკოუში დასტოვებს თავისს ჯარებს. გერმანიის ენერგიული მეცადინეობა იმის შესახებ, რომ ინგლისელებთან შეთანხმებით ჯეროვნად ისარგებლოს და რაც შეიძლება მეტს ხეირს გამოიჩენს იანცზეს ველსა, ინგლისს მეტად აშფოთებსო, იწერებიან.

— „Morning Post“-ის შანხაელი კორესპონდენტის სიტყვით, ნემცებს შანხაიში ადგილი უყიდნიათ და 800 ჯარის-კაცისათვის ყაზარმის აშენებას თურმე აპირებენ. საფრანგეთსაც განზრახვა აქვს შანხაიში ქვეითა ჯარის მთელი ბატალიონი იყოლიოს მუდამ.

— „Ostasiatische Lloyd“-ის სიტყვით, სინანფუდგან, სადაც ამ ჟამად ჩინეთის სამეფო სახლობა იმყოფება, დღემდის არავითარი ნამდვილი ცნობები არ არის მიღებული და არავინ-რა იცის, რა ხდება იქ. ერთად-ერთი ეჭვს გარეშე, რომ სინანფუს მიდამოებში ამ ჟამად დიდი შიმშილი და ავადმყოფობაა გავრცელებული. ამბობენ, იმპერატორი ავად არის და პეკინიდგან ჩინელი მკურნალები დაიბარეს, რომელთა ცოდნასაც სრულიად ენდობიანო. არავის თურმე არა სჯერა, რომ სასახლე პეკინში ასე მალე დაბრუნდება. ყველა მოხელეებს, რომელთა ოლქების ქალაქებსა და სოფლებზედაც ჩინეთის სამეფო სახლობამ უნდა გაიაროს, სასახლის დაძვრისა შიშისავით ეშინიანთ, რადგანაც კარგად იციან ამ მგზავრობას ათას გვარი შევიწროვება, უზომო ხარჯები და ძარცვა-გლეჯა მოჰყვება; უმთავრესად-კი ეშინიანთ ჯარის-კაცებისა და სასახლის მონამცეცეებისა, რომელთა რიცხვი ლეგიონია და მუდამ თან ახლავან იმპერატორს, რადგანაც ეს ვაჟბატონები ეცდებიან სისხლი და ხორცი გამოსწოვონ მცხოვრებლებსაო. ამ რიგად მხარე, რომელსაც იმპერატორი გაახედნიერებს და ეწვევა, უნდა სულ მთლად გადატყავდეს და გაიძარცვოსო.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ქ-ნის ბოტას ინგლისში მისვლისა გამო გაზეთები ათასნაირს ხმებსავრცელებენ. „Daily Express“ გვარწმუნებს, მაგალითად, რომ ბურები მზად არიან ბევრი რამ დასთმონ და ინგლისელებს შეურიგდნენო. და აი ქ-ნი ბოტაც იმიტომ წამოვიდა ევროპაში, რომ აქ კრიუგერი ენახნა და შემდეგ შერიგების თაობაზედ ინგლისის მთავრობასთან მოელაპარაკნაო.

ლორდის კიტჩენერის მიერ გენერალის ბოტას ნახვა ადრევე გარდაწყვეტილი იყო და ახლა უთუოდ კიდევაც ნახავდნენ ერთმანერთსაო, ამბობს გაზეთი. ქ-ნმა ბოტამ უნდა კრიუგერი ინახულოს და აცნობოს, თუ მისს ქმარს, ლუი ბოტას, რა რიგადა აქვს განზრახული ინგლისთან ომი შესწყვიტოს. როგორც-კი ქ-ნი ბოტა კრიუგერს მოელაპარაკება, მაშინვე ყოველივეს „Colonial office“-ს აცნობებენ და ადვილი შესაძლებელია ბურებმა იარაღი მაშინვე დაჰყარონ, რადგანაც ტრანსვაალში ომის შესაწყვეტად ყველაფერი მომზადებულიაო.

„Daily Express“-ის სიტყვით, გენერალი ბოტა კრიუგერს შემდეგის პირობით თურმე ურჩევს შერიგებას:

I. რომ სამხრეთს აფრიკაში ენასა და სარწმუნოებას სრული თავისუფლება მიენიჭოს და

II. რესპუბლიკებს შემოკლებული თვით-მმართველობა და ყველა თეთრკანიანს საარჩევანო უფლება მიეცეს.

მაგრამ „Times“-ის კორესპონდენტის მიერ პრეტორიიდგან მოწერილი

ცნობები ამისი წინააღმდეგია. კორრესპონდენტის სიტყვით, პრეტორიის შემძლებელნი მცხოვრებნი იმ აზრისანნი თურმე არიან, რომ აკრძალვა დაედოს ყველა იმ ბურების ფერმებსა, რომლებიც-კი დღემდის იარაღს არა ჰყრიან. უამისოდ იმათი დამორჩილება უოვლად შეუძლებელიაო. ეს ერთი და მეორეც, ამ ბოლოს დროს მიღებული დეპეშებიც „Daily Express“-ის ნათქვამს არაფრით არ ამართლებენ, რადგანაც ბურები კვალად მხნედ იბრძვიან და ბევრგან დიდათაც აზარალებს ინგლისელები. ეჭვი არ არის, ყველა ეს მხოლოდ სურვილია ინგლისელებისა და არა გეგმა ბოტასი, რადგანაც შეუძლებელია, ბოტა ან დევეტი თვითონ შეეხვეწნენ ინგლისელებს ასეთის პირობებით შეგვირიგეთო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

მუშათა და ხელოსანთა ასოციაციები და კავშირები იაპონიაშიაც არსებობს თურმე. ბევრი ამათგან, როგორც მაგალითად, მხერხავთა კავშირი, ძველადაა დაარსებული, სახელდობრ მე-XV საუკუნეში. ამ კავშირის წესდება, რომელიც მთელი ოთხი საუკუნე მოქმედებდა, მთავრობამ დაამტკიცა მხოლოდ 1885 წელს განსაკუთრებულ კანონით. მხერხავთა კავშირს ანუ ასოციაციას იაპონიის ყველა მხერხავნი და სამხერხაოების პატრონნი შეადგენენ. პირველთა რიცხვი 1,500 კაცამდეა, მეორეთა—300 კაცამდე. მუშები 21 ოლქად არიან გაყოფილნი. ყველა ოლქი ირჩევს ერთ დელეგატს, რომელსაც მინდობილი აქვს ყველას ინტერესების დაცვა და საწევრო ფულის მოკრეფა. წლის გასულს დელეგატი ანგარიშს აძლევს კრებას, რომელიც ან ახალ დელეგატს ირჩევს, ან ძველს ამტკიცებს. სამხერხაოების პატრონნი წელიწადში ორჯელ იკრიბებიან სამუშაო ფასის დასაწესებლად და სხვა საქმეების განსახილველად. წინა დღეს მუშათა დელეგატები იკრიბებიან თავიანთ მოთხოვნილებათა აღსანიშნავად; მეორე დღეს დელეგატნი ამ მოთხოვნილებებს სამხერხაოების პატრონთა კრებას წარუდგენენ ხოლმე. სამხერხაოების პატრონნი სამუშაო ფასის დადების საქმეში მარტო მუშათა მოთხოვნილებებით არა სარგებლობენ; მათ წინა დღეებში მოლაპარაკება აქვთ ხოლმე ერთ სხვა ორგანიზაციასთან, ტყის პატრონთა ლიგასთან. ამ ლიგას ხე-ტყის ფასში ურიგდებიან; შემდეგ ტყობილობენ ბაზრის მდგომარეობას და ამის დაკვალად აწესებენ სამუშაო ფასის რაოდენობას. ის დელეგატი, რომელიც თავისს ოლქს თავს ანებებს, სხვა ოლქში მხოლოდ მაშინა შოულობს სამუშაოს, თუ დელეგატისა და სამხერხაოს პატრონის მოწმობა აქვს.

ქ. ტოკიოში არსებობს ერთი სხვა კორპორაცია—ბრინჯის მზიდავთა ამხანაგობა. ამ ამხანაგობასაც 1500 წევრამდე ჰყავს. კორპორაციის წევრთა საქმეს შეადგენს ბრინჯის ტომრებში ჩაყრა და შემდეგ ამ ტომრებით ურმების დატვირთვა. ეს დიდ მოხერხებას და სიმარდეს თხოულობს თურმე. წევრებმა კარგად იციან, რომ იმათ მაგიერობას ამ საქმეში ვერავინ გასწევს, ამიტომ ძალიან ხშირად აღკვეთენ ხოლმე მუშაობას და ფასის მომატებას თხოულობენ. ბრინჯის ვაჭარნი თითქმის ყოველთვის უსრულებენ სურვილს ამ მუშებს. 1900 წელს, მაგალითად, მუშებმა ფასის მომატება მოითხოვეს და განაცხადეს, თუ არ მოგვიმატებთ, მუშაობას ავკვეთავთო. ვაჭრებმა იმ წამსვე მოუმატეს. დიდი გავლენა აქვს აგრეთვე მზარეულ ქალთა და კაცთა ლიგასაც. ძნელად იშოვნის იაპონიაში მზარეულს ის, ვინც წინანდელს მზარეულს უმიზეზოდ და უსაბუთოდ დაითხოვს. მსხვილ წარმოებაში მუშათა კავშირები და ორგანიზაციები მხოლოდ ეხლა არსდება. თუმცა მარტო ტოკიოს საქსოვს ქარხნებში 20,000 მუშამდეა, მაგრამ მათ ჯერ-ჯერობით მტკიცე ორგანიზაცია არა აქვთ. ეხლა არსდება აგრეთვე, სხვათა შორის, რკინის გზების მოსამსახურეთა კავშირი.

* * *

როგორც ნიუ-იორკიდგან იუწყებიან, ედისონს ერთს გაზეთის თანამშრომლისათვის უთქვამს თავისს ახალ გამოგონების შესახებ: „მალე დაჰკრავს ისეთი საათი, როდესაც ცხენი სრულიად გამოუსადეგარი გახდება, რადგანაც იმის მაგიერობას ტვირთის გადასაზიდად სულ პატარა ბატარეია შეასრულებს. ამ ბატარეიებით მეტად დიდ და მძიმე ტვირთვის გადაზიდვ-გადმოზიდვა სულ უბრალო საქმე იქმნება. ეს ახალი გამოგონება გამოდგება აგრეთვე გემებისა და ჰაერში საფრენ მანქანათათვის. დღეს მარტო მართვა-გამგეობა ბატარეიებისა შეუძლიანთ მხოლოდ სპეციალისტებს, ახალ ბატარეიების მართვას კი ყველა შესძლებსო“.

* * *

კონსტანცის ტბაში ამას წინად გამოსცადეს ახლად გამოგონილი წყალ ქვეშ მოსიარულე ნავი. ნავი გერმანელმა გურტმა გამოიგონა. ამბობენ, ეს ახალი ნავი სამაგალითო რამ არისო. ნავს თავისუფლად შეუძლიან წყალ-ქვეშ სიარული. გერმანიის საზღვაო სამინისტრო დიდის ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს ამ ახალ გამოგონებას.

* * *

ამერიკაში მამაკაცებს ტანისამოსის ახალი მოდა მოუგონიათ: ქუჩებში დღეს ბევრნი უსერთუკოდ და უპიჯაკოდ დადიან თურმე. აი ამ მამაკაცების ტანისამოსი: შარვალი, ყვითელი ფეხსაცმელი, შალის შლიაპა, პერანგი და გალსტუხი. პირველად ახალ მოდის მიმდევართ მტრულად შეჰხედა ყველამ, განსაკუთრებით ეს ტანისამოსი ქალებს არ მოეწონათ, მაგრამ ამერიკელი ნაკლებად აქცევს ყურადღებას სხვათა აზრს, ამიტომ ამ ახალ ტანისამოსით მამაკაცებმა მალე სტუმრადა და საჯარო ადგილებშიაც დაიწყეს სიარული. თუმცა ბევრმა დაიწყო უსერთუკოდ სიარული, მაგრამ მტერი სულ მუდამ მაინც მრავალი ჰყავს.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

6 ივნისი.

**პეტერბურგი.** უმართ. სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტმა უყურადღებოდ დასტოვა საჩივარი სამსახურის გარეშე მყოფ შტაბს-კაპიტანის გეკკერისა, რომელსაც პეტერბურგის ოლქის სასამართლომ ცნობილ ოკულისტის დონბერგის მკვლელობისათვის მიუსაჯა სამის წლით პატიმართა განყოფილებაში გაგზავნა.

**პარიჟი.** დიდის მთავრინის ანასტასია ნიკოლოზის ასულის დაბადებას სიხარულით მიეგება რუსთა ახალშენს გარდა მთლად საფრანგეთის ხალხი. გაზეთებში ამის გამო თანამგრძნობი წერილები დაიბეჭდა. „Figaro“ ამბობს: „საფრანგეთი უერთდება რუსეთის საიმპერატორო გვარეულობის და რუსეთის ხალხის გრძნობას და ბედნიერებას უსურვებს ახლად დაბადებულის მშობელთ“.

ხვალ საელჩოს ეკკლესიაში წირვა იქმნება გარდახდილი.

**პეკინი.** ელჩთა კრებამ განიხილა ჩინელების თხოვნა იმის შესახებ, რომ 3000 ჩინელ ჯარის-კაცს ნება მიეცეს პეკინში შესვლისა. შეუძლებლად სცნეს ამ თხოვნის შეწყნარება იმ დრომდე, ვიდრე აგვისტოს დამლევამდე უცხო ქვეყნელთა ჯარი, საელჩოს დარაჯთა გარდა, პეკინიდგან არ გავა. ამასთან ერთად ელჩებმა დაადგინეს, უცხო-ქვეყნელთა ჯარმა იმ დრომდე ადევნოს თვალ-ყური ქალაქის აღკრძალულ ნაწილს, ვიდრე პეკინში ჩინეთის ჯარი შევა.

**კუქსგაფენი.** გუშინ ჰამბურ-ამერიკის სანავოსნო საზოგადოების გემს „Prin. Uictoria Duisa“-ზედ გამართულ იქმნა სადილი, რომელსაც დაესწრნენ იმპერატორი და პრინცი ჰენრიხი. ბურგომისტრის მენკებერგის სიტყვის საპასუხოდ იმპერატორმა ვილჰელმმა სთქვა; „ჩვენ საპატიო ადგილი დავიჭირეთ; ეხლა ჩემი ვალია ვიზრუნო, რომ ეს ადგილი ჩვენ ხელში დარჩეს, რომ ვერავინ წამოგვცდავოს. ჩვენი მომავალი ზღვაზეა. ჩვენ იქ გავჩნდით, სადაც ოდესღაც განზას სიცოცხლე მოესპო, რადგანაც აკლდა მას გამაცოცხლებელი და მფარველ-შემწევი ძალა იმპერიისა. ჩინეთის საქმეები ჩემ თვალში თავმდებია იმისა, რომ მშვიდობიანობა მრავალ წლისთვის უზრუნველ ყოფილ იქმნა, რადგანაც ცალკე ჯართა სამხედრო საქმეებმა ურთ-ერთის დაფასება გამოიწვიეს, დაფასება, დამოკიდებული ერთმანეთის პატივის-ცემასა და ამხანაგურს გრძნობებზედ და დამცველი ზავისა. იმედი მაქვს, რომ ამ ზავის დროს აღყვავდებიან განზეის ქალაქები. ახალი განზა გაიყვანს თავის გზებს და დაიპყრობს ახალს ადგილებს საქონლის გასასაღებლად“.

**ბერნი.** წითელის ჯვრის საზოგადოებათა შემდეგი საერთაშორისო კონგრესი მოხდება 1902 წლის მაისს პეტერბურგში.

**მადრიდი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ არ არსებობს მოთხოვნილებათა არავითარი ნოტა ისეთი, რომელსაც შეეძლოს სამეგობრო დამოკიდებულებათა დარღვევა ინგლისსა და ესპანიის შორის.

**პარიჟი.** იუწყებიან, რომ რუსეთის პოლკოვნიკმა პილსუდსკიმ მოახერხა უმავთულოდ დეპეშის გადაცემა.

**ვაშინგტონი.** რუსეთის ელჩმა აცნობა სტატს-სეკრეტარს გეის, რომ რუსეთის ნავთის წინააღმდეგ სატარიფო ღონისძიებათა მიღებისა გამო, რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ამერიკელ ველოსიპედებსა და წებოვან ნაწარმოებთ გადიდებული ტარიფი დაადო.

**კერჩი.** 4 ივნისს აქეთ პურის მკას შეუდგნენ. დიდი იმედი ჰქონდათ წელს მოსავლისა, მაგრამ არ მართლდება.

**გროდნო.** 29 მაისს პრუჟანის მაზრაში საშინელი სეტყვა და წვიმა მოვიდა, რომელმაც შვიდი საათი გასტანა. მოკლულ იქმნა 4 კაცი და 4 სული საქონელი; თერთმეტგან ცეცხლი გაჩნდა. ზარალი ცეცხლისაგან 3,383 მანეთამდეა.

**პეტერბურგი.** 6 ივნისს, დედოფალ იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულის ფეხმძიმობისაგან კეთილად მორჩენისა; გამო, ეკკლესიებსა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაში გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისები. ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

7 ივნისი

**პეტერბურგი.** ბიულლეტენი დედოფალ იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულის ჯანმრთელობის შესახებ 6 ივნისს: „მათმა იმპერატორებითი უდიდებულესობამ ღამე კარგად გაატარა. ტემპერატურა და მაჯა ნორმალურია. ახლად დაბადებული დიდი მთავრინაც კარგად არის“.

**მოსკოვი.** 6 ივნისს, „ერმიტაჟის თეატრში „რიგოლეტოს“ წარმოდგენის დროს, გარდაიცვალა ბარიტონი დევოიოდი.

**დურბანი.** შტეინი და დევეტი ამ უკანასკნელ დღეებში უნაყოფოდ სცდილობენ სტანდერტონ-გეიდელბერგის შტოს გადასვლას.—ოფიციალურის ცნობებით გრეიტონნის ოლქის ფერმებში საქონლის ჭირი გაჩნდა.

**კილი.** იმპერატორი საღამოთი აქ მოვიდა.

**კაპშტადტი.** ბურთა რაზმებს, რომელთაც კრუიცინგერი უფროსობდა, 4 ივნისს ტარკასტაჯთან თავს დაეცა პოლკოვნიკის მანროს ჯარი ბურებმა უკან დაიწიეს; იმათ მცირე ზარალი მოუვიდათ.

**ბერლინი.** გაზეთებს ატყობინებენ ბოხუმიდგან, რომ გუშინ, როდესაც კრონ-პრინცი, მინდენიდგან ბონნში მიმავალი, ბახუმის სადგურზედ მივიდა, რკინის გზის ერთმა მთვრალმა მოსამსახურემ ჯოხით იმ ვაგონის ფანჯარას დაუწყო ბრახუნი, სადაც კრონ-პრინცი იჯდა. როდესაც დააპატიმრეს, მოსამსახურემ განაცხადა, რომ კრონ-პრინცის ნახვა მინდოდაო.

**პარიჟი.** ბელფორიდგან იუწყებიან, რომ ელზარის მთა ბელხენი თოვლით შეიმოსა.—როგორც შამბერიდგან იუწყებიან, სავოის დეპარტამენტის მთები ძირამდე თოვლითაა თურმე დაფარული.—უცხო-ქვეყნელთა სამხედრო ატაშეებმა, მათ შორის გერმანიისამაცა დაათვალიერეს სენ-სირის სამხედრო სკოლა. სკოლის უფროსმა იმათ პატივ-საცემად საუზმე გამართა, რომლის დროსაც იტალიის ატაშემ მიულოცა უფროსს მოსწავლეთა კარგად გაწვრთნა.

**ლონდონი.** გუშინ საღამოთი კვენსხალლში ყრილობა მოხდა, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს კაპის ახალშენის მინისტრებად ნამყოფებმა მერრიმმა და ზაუერმა. თავმჯდომარეობდა ლაბუშერი, დაესწრნენ პარლამენტის სხვა წევრნიც ყოველი ღონისძიება იქმნა მიღებული, რათა წესიერება არ დარღვეულიყო. ყრილობამ დიდვს აღტაცებით მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც განკიცხულია მთავრობის პოლიტიკა სამხრეთ-აფრიკაში, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების მიმართ ქცევა. რეზოლიუცია წინადადებას აძლევს მთავრობას ბურებს სრული დამოუკიდებლობა მიანიჭოს.

**ათინა.** აქ იმ აზრისა არიან, რომ მეფის ძე გიორგი, სახელმწიფოთა ამას წინად გაგზავნილ ნოტის შემდეგ, ალბათ ხმა იქმნება სამის წლით კიდევ კუნძულის კრიტის მართვა-გამგებლობა.

**პეტერბურგი.** იმის გამოსარკვევად, რომ კათოლიკეთა ეკკლესიების აგების დროს მართლ-მადიდებლებმა ხარჯში მონაწილეობა უნდა მიიღონ თუ არა, უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ მართლმადიდებელთ არ შეეძლებათ ხარჯი ვადახდევინონ.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ კნეინა მარიამ ონისიმეს ასულს ერისთავისას, რომელმაც ქუთაისის სა თავად-აზნაურო სკოლისათვის გამართა 26 აპრილს საღამო, გასწია დიდი შრომა და მეცადინეობა და მით სასწავლებელს დიდი შეწეობა აღმოუჩინა. წმინდა შემოსავალი ამ საღამოდგან დარჩა 583 მან., რომელიც გარდაეცა ხსენებულ სამეურნეო სკოლის კომიტეტს.

გულითად მადლობას ვუძღვნით აგრეთვე ქნ-თ მ. გ. ძნელაძისას და ფრამისას, ბ. ბ. ბ. ალექსი-მესხიშვილს, სალაჩს და ურუშაძეს, რომელთაც უსასყიდლოდ მონაწილეობა მიიღეს ამ საღამოს წარმოდგენაში. მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ქუთაისის საკვირაო სკოლის და კერძო სასწავლებლების მასწავლებელი-ქალები და სხვ., რომელთაც დიდი შრომა გასწიეს საღამოს გამართვისათვის.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის
გამგე ი. ოცხელი


## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

### სემინარიელი

(VI კლ.) ამზადებს მოსწავლეებს სასულიერო და საერო სასწავლებლებისათვის.

კობის ქუჩა (წყნეთის ქუჩის მახლობლად), მე-2-ე შესახვევი, სახლი № 44.

(3—134—3)

### იმლმება

ქირით ხუთი ოთახი.
ნიკოლოოზის ქუჩა, № 21, სახლი ე. გ. საგინაშვილისა.

მ კ უ რ ნ ა ლ ი

### მიხეილ გედევანიშვილი

გადავიდა საკუთარ სახლში, ყორღანოვის ქუჩა, № 16.

ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

(10—6.—10)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

### ჰიგიენური

ბორნო-ცეიმოლის საპონი

პ რ ო ვ ი ზ ო რ ი ს

### გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს, ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი ლონდონი 1893 წ.
ფასი თითო ნაჭერის 50 კაპ., $^{1}/_{2}$ ნაჭერი 30 კაპ. იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო საფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. (48—6.—44)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 7-го Іюня 1901 г. სტამბა ქქ. ივ. ხელაძისა, დორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე